enterprise.gov.ge

აწარმოე საქართველოში

წლიური ანგარიში 2022

შინაარსი

ჩვენ შესახებ **03**

სტრუქტურა **04**

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დეპარტამენტი **05**

ინდუსტრიული ნაწილი 06

უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი 11

საკრედიტო საგარანტიო სქემა 16

იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმი 20

სუბსიდირებული იპოთეკური სესხი 22

კინოინდუსტრიის ნაწილი 25

შეხვედრები კომპანიებთან 27

მიკრო მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტი **28**

მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილი 29

რეგიონული საკონსულტაციო ცენტრები 33

მომსახურების ცენტრი 34

ექსპორტის დეპარტამენტი **38**

ინვესტიციების დეპარტამენტი **45**

ფინანსური პროცესებისა და რისკების მართვის დეპარტამენტი **49**

ანალიზის, მონიტორინგისა და შეფასების დეპარტამენტი **53**

ადმინისტრაციული დეპარტამენტი **55**

საერთაშორისო ურთიერთობების და დონორთა კოორდინაციის სამსახური **62**

„საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დახმარებისა და აღდგენის პროექტის“ საორგანიზაციო ჯგუფი 65

ჩვენ შესახებ

სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საქართველოში სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის და მათი საექსპორტო პოტენციალის ზრდა, საქართველოს საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაცია და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.

მისია: **მეწარმეობის განვითარება, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე.**

სტრუქტურა

2022 წელს სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ დეპარტამენტების სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:



მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დეპარტამენტი

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დეპარტამენტის ძირითადი საქმიანობა მცირე და საშუალო ბიზნესის წამახალისებელი პროგრამების განხორციელება და მართვაა.

დეპარტამენტის ფუნქცია-მოვალეობები ასევე აერთიანებს შემდეგ საქმიანობებს:

- მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება;
- ბენეფიციარებისა და დაინტერესებული პირებისთვის კონსულტაციის გაწევა, ჩართულ ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობა;
- მეწარმე სუბიექტების ფინანსური, ტექნიკური და საინფორმაციო-საკონსულტაციო მხარდაჭერის მიზნით ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- პროგრამების ორგანიზების, განხორციელებისა და მართვის მიზნით საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის შექმნა და დანერგვა.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დეპარტამენტი აერთიანებს შემდეგ პროგრამებს:

- სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილი;
- სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი;
- საკრედიტო საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამა;
- სახელმწიფო პროგრამა „იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმი“;
- სახელმწიფო პროგრამა „სუბსიდირებული იპოთეკური სესხი“;
- სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ კინოინდუსტრიის ნაწილი.

ინდუსტრიული
ნაწილი

პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილი, რომელიც ამოქმედდა 2014 წელს და განცხადებებს იღებდა 2021 წლის ბოლომდე, მოიცავდა კომერციული ბანკების მიერ დამტკიცებული სესხების ან სალიზინგო კომპანიების მიერ გაცემული ლიზინგის საგნების საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას. კრედიტის/ლიზინგის თანადაფინანსება ითვალისწინებდა სააგენტოს მიერ პროგრამის ფარგლებში კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე/ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული 24 თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, კრედიტის შემთხვევაში 7%-ის, ხოლო ლიზინგის საგნის შემთხვევაში – 9%-ის ოდენობით.

მიუხედავად იმისა, რომ სესხის სუბსიდირების ინდუსტრიული პროგრამა 2021 წლის დეკემბერში შეწყდა, პროგრამის ფარლებში გაცემულ სესხებზე დღემდე მიმდინარეობს ხელშეკრულებების შესაბამისი გადარიცხვები.

პროექტის ფარგლებში ჯამურად დამტკიცდა 1,156 სესხი, რომელთა მოცულობამაც 1.5 მილიარდ ლარს მიაღწია, ხოლო ჯამურმა ინვესტიციამ 2.4 მილიარდი ლარი შეადგინა. არსებულ ხელშეკრულებებზე ჯამურად გადარიცხულია 220.8 მლნ ლარამდე, საიდანაც 2022 წლის განმავლობაში გადაირიცხა 75.4 მილიონ ლარზე მეტი.

ცხრილი 1. ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში დამტკიცებული სესხების რაოდენობა და მოცულობა (დარი), ინვესტიცია (დარი) და ახალი სამუშაო ადგილები (2014-2021)

	2014-2019	2020	2021
დამტკიცებული სესხების რაოდენობა	**584**	**156**	**416**
საწარმო	424	124	343
სასტუმრო	160	32	73
დამტკიცებული სესხის მოცულობა (ლარი)	**690,415,947**	**217,639,970**	**578,675,187**
საწარმო	513,655,031	177,725,395	477,155,947
სასტუმრო	176,760,916	39,914,575	101,519,240
ინვესტიციის მოცულობა (ლარი)	**1,172,737,932**	**369,642,204**	**817,570,502**
საწარმო	817,505,365	270,189,649	598,984,111
სასტუმრო	355,232,567	99,452,555	218,586,391
ახალი სამუშაო ადგილები	**15,292**	**6,216**	**6,695**
საწარმო	12,232	5,567	5,356
სასტუმრო	3,060	649	1,339

სექტორულ ჭრილში, როგორც სესხების რაოდენობით, ისე გადარიცხული თანხების მოცულობით, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოების სექტორები ლიდერობს.

ცხრილი 2. ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში გადარიცხული თანხა (დარი) სექტორების ჭრილში

სექტორი	რაოდენობა	გადარიცხული თანხა (ლარი) 2022	ჯამურად გადარიცხული თანხა (ლარი) 2014-2022
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	264	13,510,721	49,093,419
სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება	196	9,720,027	36,556,279
რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება	87	4,295,925	15,076,586
ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება	76	6,387,106	14,894,809
ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა	76	4,848,252	19,268,091
ჯანდაცვის საქმიანობები	72	7,487,259	10,332,445
ავეჯის წარმოება	58	1,766,086	4,209,613
კვების პროდუქტების წარმოება	53	1,960,306	12,432,187
ტანსაცმლის წარმოება	29	1,324,836	7,746,976
ბეჭდვა და მედია-ჩანაწერების აღწარმოება	29	139,708	4,307,989
დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობები	25	4,221,285	4,604,585
ხის და კორპის ნაწარმის წარმოება, ავეჯის გარდა; ნაკეთობების წარმოება ჩალის და წნული მასალებისაგან	24	852,213	1,504,132
ქიმიკატების და ქიმიური პროდუქტების წარმოება	22	2,123,826	4,491,715
თევზჭერა და აკვაკულტურა	18	4,185,338	6,303,045
სასმელების წარმოება	16	413,421	3,474,468
საკვებით და სასმელებით მომსახურება	15	330,022	339,830
ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტების და ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება	13	1,634,411	4,709,099
საბითუმო ვაჭრობა, ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა	12	366,214	3,318,064
ძირითადი ლითონების წარმოება	10	2,236,108	3,603,286
სხვა მზა ნაკეთობების წარმოება	9	178,489	1,897,322
ელექტრული მოწყობილობების წარმოება	8	1,641,273	2,066,016
ტექსტილის წარმოება	7	1,992,593	3,866,053
საქმიანობები სპორტის, გართობის და დასვენების სფეროში	7	1,568,516	1,828,306
ოფისის ადმინისტრაციული, ოფისის დამხმარე და ბიზნესის სხვა დამხმარე საქმიანობები	6	378,442	1,925,018
კომპიუტერების, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქციის წარმოება	6	113,727	178,560

სექტორი	რაოდენობა	გადარიცხული თანხა (ლარი) 2022	ჯამურად გადარიცხული თანხა (ლარი) 2014-2022
ბიბლიოთეკების, არქივების, მუზეუმების და კულტურის სხვა დაწესებულებების საქ მიანობები	3	1,079,862	1,543,035
ტყავის და მასთან დაკავშირებული ნაწარმის წარმოება	3	3,347	104,105
მანქანების და მოწყობილობების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის	2	331,686	454,226
არქიტექტურული და საინჟინრო საქმიანობები; ტექნიკური გამოცდები და ანალიზი	2	24,013	41,518
სხვა სატრანსპორტო მოწყობილობების წარმოება	2	20,423	52,143
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	1	169,805	169,805
საგამომცემლო საქმიანობა	1	99,967	99,967
საიჯარო და სალიზინგო საქმიანობები	1	30,131	30,131
სამთომოპოვებითი მრეწველობის და კარიერების დამუშავების სხვა დარგები	1	0	208,058
კოქსის და ნავთობპროდუქტების წარმოება	1	0	60,203
თამბაქოს ნაწარმის წარმოება	1	0	48,765
ჯამი	**1,156**	**75,435,337**	**220,839,851**

გრაფიკი 2. ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში დამტკიცებული სესხები (მლნ ლარი) და გადარიცხული თანხა (მლნ ლარი) თვეების მიხედვით (2021-2022)



პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილი ასევე ითვალისწინებდა ცაკლეულ კომპონენტს, როგორიცაა საერთაშორისო ბრენდის გადასახადის თანადაფინანსება. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში ბენეფიციარებს შეეძლოთ ესარგებლათ საერთაშორისო ბრენდის გამოყენებისათვის არსებული გადასახადის ანაზღაურებით. დაფინანსება მოიცავდა საქმიანობის დაწყებიდან 24 თვის განმავლობაში დარიცხული და ამ პერიოდზე 29 თვის მანძილზე გადახდილი გადასახადის ანაზღაურებას თითოეულ საანგარიშო წელზე, წელიწადში არაუმეტეს 300 000 ლარის ოდენობით. 2022 წელს საერთაშორისო ბრენდის კომპონენტით ისარგებლა 3-მა სასტუმრომ, რომლის ფარგლებშიც საერთო ჯამში გადაირიცხა 354,888 ლარი.

ასევე, პროგრამის არამიზნობრივი განხორციელების შემთხვევების აღმოსაჩენად, სააგენტოში დანერგილია პროექტების მონიტორინგის პროცედურა. 2022 წელს, პროექტების მონიტორინგი ჩაუტარდა „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ინდუსტრიული ნაწილის 137 ბენეფიციარს, რომელთა ხელშეკრულებების რაოდენობამ შეადგინა 163.

უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი

2021 წლის 1 სექტემბრიდან სესხის სუბსიდირების ინდუსტრიული პროგრამის პირობები გაფართოვდა, რამაც გამოიწვია პროგრამის განახლება და ახალი სახელწოდებით „სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი“ წარდგენა. განახლებული პროგრამის თანახმად, სააგენტო მეწარმე სუბიექტისთვის ახორციელებს დამტკიცებული სესხის/ლიზინგის საგნის პროცენტის სუბსიდირებას, დამტკიცებული სესხის სრული ვადით, რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 5%-ის (ლიზინგის შემთხვევაში რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 3%) ოდენობით.

გარდა აღნიშნულისა, პროგრამა მოიცავს რამოდენიმე კომპონენტს:

- საგრანტო კომპონენტი, რომელიც ფარავს 61 ეკონომიკურ საქმიანობასა და აგრო/ეკო ტურიზმის მიმართულებებს, რომელთა ფარგლებში მსესხებელი უფლებამოსილია ისარგებლოს გრანტით (დამტკიცებული სესხის/სალიზინგო პროექტის მოცულობის 15%, არაუმეტეს 500,000₾). ასევე, ევროკავშირის საპილოტე რეგიონების პროგრამის ფარგლებში, 4 საპილოტე რეგიონში , 50,000 ლარიდან 1,500,000 ლარამდე სესხის/ლიზინგის მოცულობის შემთხვევაში ყველა ბენეფიციარი 10%-იანი გრანტით ისარგებლებს, ხოლო თუ მათი საქმიანობის სფერო ეკუთვნის საგრანტო კომპონენტის მიმართულებებს, გრანტი შეადგენს 20%-ს.

- საერთაშორისო ბრენდის გადასახადის თანადაფინანსების კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც საერთაშორისო ბრენდის სახელით საქმიანობის პირველი 3 წლის მანძილზე სასტუმრო და ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრიების წარმომადგენლებს შეუძლიათ მიიღონ 600,000 ლარამდე გადახდილი გადასახადის ანაზღაურება სააგენტოსაგან.

- საკრედიტო-საგარანტიო კომპონენტი, რომელიც მოიცავს სესხის ძირის არაუმეტეს 60%-ის გარანტირებას, მაქსიმუმ 10 წლის ვადით.

პროექტის ფარგლებში ჯამურად დამტკიცდა 461 სესხი, რომელთა მოცულობამაც 343.3 მილიონ ლარს მიაღწია, ხოლო ჯამურმა ინვესტიციამ 553.4 მილიონი ლარი შეადგინა.

2022 წელს პროგრამის ფარგლებში 417 სესხი/სალიზინგო პროექტი დამტკიცდა, დამტკიცებულმა სესხის/ლიზინგის მოცულობამ 303.7 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა, ხოლო ინვესტიციის მოცულობამ 496 მლნ ლარს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ 59 სესხის/ლიზინგის მიზნობრიობა ეკუთვნის საგრანტო კომპონენტში გაერთიანებულ საქმიანობებს. ასევე, 417 ხელშეკრულებიდან 161 ხელშეკრულება ჩართულია საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმში.

[3] *გუჩია, იმეჩეთი, კახეთი, ჩაჭა-ღეჩხუმი და ქვემო სვანეთი.*

ცხრილი 3. უნივერსალური მიმართულების ფარგლებში დამტკიცებული სესხები/საინვესტიციო პროექტები (2021-2022)

	2021	2022	სულ
სესხების რაოდენობა	**44**	**417**	**461**
საწარმო	**44**	**377**	**421**
მათ შორის, საგრანტო კომპონენტით	9	59	68
დანარჩენი საწარმო	35	318	353
სასტუმრო	**0**	**40**	**40**
დამტკიცებული სესხის მოცულობა (ლარი)	**39,494,073**	**303,793,678**	**343,287,751**
საწარმო	**39,494,073**	**246,645,678**	**286,139,751**
მათ შორის, საგრანტო კომპონენტით	16,834,200	38,836,000	55,670,200
დანარჩენი საწარმო	22,659,873	207,809,678	230,469,551
სასტუმრო	**0**	**57,148,000**	**57,148,000**
ინვესტიციის მოცულობა (ლარი)	**56,901,372**	**496,518,868**	**553,420,240**
საწარმო	**56,901,372**	**365,280,997**	**422,182,369**
მათ შორის, საგრანტო კომპონენტით	26,865,000	56,963,620	83,828,620
დანარჩენი საწარმო	30,036,372	308,317,377	338,353,749
სასტუმრო	**0**	**131,237,871**	**131,237,871**
ახალი სამუშაო ადგილები	**1,439**	**4,459**	**5,898**
საწარმო	**1,439**	**3,788**	**5,227**
მათ შორის, საგრანტო კომპონენტით	834	589	1,423
დანარჩენი საწარმო	605	3,199	3,804
სასტუმრო	**0**	**671**	**671**

სექტორული თვალსაზრისით, პროექტების ყველაზე მეტი რაოდენობა არის განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოების სექტორებში. სესხის მოცულობის მიხედვით კი განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის სექტორი ლიდერობს.

ცხრილი 4. უნივერსალური მიმართულება სექტორების ჭრილში (2022)

სექტორი	რაოდენობა	სესხის თანხა (ლარი)	ინვესტიცია (ლარი)	დასაქმება
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	75	66,172,127	145,569,090	909
სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება	65	46,627,756	60,773,419	551
საკვებით და სასმელებით მომსახურება	48	32,427,500	44,644,440	745
ჯანდაცვის საქმიანობები	40	10,785,870	13,074,175	290
დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობები	22	38,670,000	66,637,124	363
კვების პროდუქტების წარმოება	17	4,062,615	6,381,250	160
ავეჯის წარმოება	16	5,570,000	7,650,000	89
რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება	14	10,870,000	11,357,000	99
ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება	12	10,707,205	12,267,419	89
ბეჭდვა და მედია-ჩანაწერების აღწარმოება	12	2,524,405	2,695,405	34
განათლება	11	7,762,000	13,469,000	123
საქმიანობები სპორტის, გართობის და დასვენების სფეროში	10	3,852,100	4,365,700	67
ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა	9	16,010,000	21,385,000	90
აგრო ტურისტული ობიექტი	9	4,550,000	11,223,120	71
ქიმიკატების და ქიმიური პროდუქტების წარმოება	8	6,197,000	8,261,206	56
ეკო ტურისტული ობიექტი	7	880,000	1,872,000	39
ხის და კორპის ნაწარმის წარმოება, ავეჯის გარდა; ნაკეთობების წარმოება ჩალის და წნული მასალებისაგან	6	5,410,000	14,010,000	126
სასმელების წარმოება	6	4,604,600	11,070,020	57
ტანსაცმლის წარმოება	6	1,240,000	1,602,000	204
ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტების და ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება	5	12,310,000	18,510,000	50
სახმელეთო ტრანსპორტი და ტრანსპორტირება მილსადენებით	4	2,380,000	2,550,000	33
ძირითადი ლითონების წარმოება	2	1,930,000	6,880,000	100
კომპიუტერების, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქციის წარმოება	2	450,000	535,000	17
სხვა მზა ნაკეთობების წარმოება	2	100,000	110,000	3
კინოფილმების, ვიდეო- და სატელევიზიო პროგრამების წარმოება, ხმის ჩაწერის და მუსიკალური გამოცემის საქმიანობები	1	3,000,000	3,000,000	10
რეზიდენტული ზრუნვა	1	3,000,000	4,000,000	25
მანქანების და მოწყობილობების წარ-მოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის	1	560,000	680,000	10
შემოქმედებითი, სახელოვნებო და გართობის საქმიანობები	1	500,000	750,000	15
ელექტრული მოწყობილობების წარმოება	1	250,000	780,000	20
ტექსტილის წარმოება	1	157,500	167,500	2
საგამომცემლო საქმიანობა	1	100,000	100,000	5
ტყავის და მასთან დაკავშირებული ნაწარმის წარმოება	1	70,000	70,000	5
ვეტერინარული საქმიანობები	1	63,000	79,000	2
ჯამი	**417**	**303,793,678**	**496,518,868**	**4,459**

რაც შეეხება საგრანტო კომპონენტის ჩაშლას სექტორების მიხედვით, არსებული 59 სესხი/სალიზინგო პროექტიდან, ყველაზე მეტი რაოდენობა მოდის ავეჯის წარმოებისა და რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოების სექტორებზე, ხოლო სესხის/სალიზინგო პროექტის მოცულობის მიხედვით ძირითადად ფარმაცევტული პროდუქტების და ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სექტორი ლიდერობს.

ცხრილი 5. საგრანტო კომპონენტი სექტორების ჭრილში (2022)

სექტორი	რაოდენობა	სესხის თანხა	ინვესტიცია	დასაქმება
რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება	11	10,070,000	10,557,000	87
ავეჯის წარმოება	11	4,300,000	5,990,000	65
აგრო ტურისტული ობიექტი	7	4,170,000	10,443,120	58
ტანსაცმლის წარმოება	6	1,240,000	1,602,000	204
ეკო ტურისტული ობიექტი	6	808,000	1,732,000	36
ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტების და ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება	5	12,310,000	18,510,000	50
ქიმიკატების და ქიმიური პროდუქტების წარმოება	4	3,750,000	4,598,000	20
სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება	3	1,210,500	1,919,000	23
კომპიუტერების, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქციის წარმოება	2	450,000	535,000	17
ელექტრული მოწყობილობების წარმოება	1	250,000	780,000	20
ტექსტილის წარმოება	1	157,500	167,500	2
ტყავის და მასთან დაკავშირებული ნაწარმის წარმოება	1	70,000	70,000	5
სხვა მზა ნაკეთობების წარმოება	1	50,000	60,000	2
ჯამი	**59**	**38,836,000**	**56,963,620**	**589**

2022 წელს უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში დამტკიცებული სესხების/სალიზინგო პროექტებისა და გადარიცხული თანხების მოცულობა მოცემულია გრაფიკ 3-ზე.

გრაფიკი 3. უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში დამტკიცებული სესხები/სალიზინგო პროექტები (მლნ ლარი) და გადარიცხული თანხა (მლნ ლარი) თვეების ჭრილში (2021-2022)



საკრედიტო
საგარანტიო სქემა

პროგრამის მიზანია ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება იმ მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა, დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები. პროგრამის ფარგლებში, საკრედიტო გარანტია გაიცემა კომერციული ბანკის მიერ გაცემულ თითოეულ სესხზე, სესხის ძირი თანხის არაუმეტეს 80%-ის ოდენობით და თითოეული კომერციული ბანკისთვის პროგრამის ფარგლებში არსებული სასესხო პორტფელის არაუმეტეს 35%-ის ოდენობაზე. 2022 წლიდან პროგრამის ეკონომიკური საქმიანობების სიას დაემატა მეცხოველეობის ცალკეული კოდები, ასევე, შეიცვალა ბანკის მიერ მობრუნებული სახსრების ადმინისტრირების პროცესი, კერძოდ, აღნიშნული რესურსი თავსდება სააგენტოს ანგარიშზე.

საკრედიტო-საგარანტიო სქემის ფარგლებში 2022 წელს დადასტურდა 328 ახალი ხელშეკრულება, ჩაიხურა 6 სესხი, ხოლო სესხების ჯამურმა მოცულობამ 267 მლნ ლარი შეადგინა.

ცხრილი 6. საკრედიტო საგარანტიო სქემა (2020-2022)

	2020	2021	2022	ჯამი
ახალი პროექტების რაოდენობა	**123**	**204**	**328**	**655**
დადასტურებული სესხების მოცულობა (₾)	101,597,719	151,056,584	259,777,609	512,431,912
გარანტირებული სესხების მოცულობა (₾)	91,437,947	122,765,706	170,973,159	385,176,811
სააგენტოს მიერ გადარიცხული თანხა (₾)	31,627,792	39,936,582	46,147,984	117,712,358
სააგენტოს მიერ გადასარიცხი თანხა (₾)	0	81,900	1,003,502	1,085,402
შექმნილი სამუშაო ადგილები	3,040	3,048	3,963	10,051
რესტრუქტურიზებული/რეფინანსირებული პროექტების რაოდენობა	**18**	**5**	**7**	**30**
დადასტურებული სესხების მოცულობა (₾)	14,748,777	5,707,947	3,149,454	23,606,178
გარანტირებული სესხების მოცულობა (₾)	4,424,633	3,175,784	2,464,233	10,064,650
სააგენტოს მიერ გადარიცხული თანხა (₾)	631,941	862,151	835,247	2,329,339
სააგენტოს მიერ გადასარიცხი თანხა (₾)	0	0	0	0
ჩახურული სესხების რაოდენობა	**19**	**24**	**6**	**49**
დადასტურებული სესხების მოცულობა (₾)	19,115,500	21,449,705	4,860,000	45,425,205
გარანტირებული სესხების მოცულობა (₾)	16,416,750	18,273,695	3,075,997	37,766,442
სააგენტოს მიერ გადარიცხული თანხა (₾)	4,487,734	2,209,725	488,599	7,186,058
სააგენტოს მიერ გადასარიცხი თანხა (₾)	0	0	0	0
სულ სესხების რაოდენობა	**160**	**233**	**341**	**734**
სესხების ჯამური მოცულობა (₾)	**135,461,996**	**178,214,236**	**267,787,063**	**581,463,295**
გარანტიის ჯამური მოცულობა (₾)	**112,279,330**	**144,215,185**	**176,513,389**	**433,007,903**
სულ შექმნილი სამუშაო ადგილები	**3,040**	**3,048**	**3,963**	**10,051**

2022 წელს საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში დადასტურებული ახალი სესხებიდან ყველაზე მეტი ხელშეკრულება მემცენარეობისა და მრავალწლიანი კულტურების მოყვანის სექტორში გაფორმდა და სესხის მოცულობამ 49.8 მილიონ ლარს მიაღწია.

ცხრილი 7. საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში დადასტურებული ახალი პროექტები - სექტორების ჭრილში (2022)

სექტორი	სესხების რაოდენობა	სესხების მოცულობა	გარანტიის მოცულობა	დასაქმება
მემცენარეობა და მეცხოველეობა, ნადირობა და აღნიშნულ სფეროებში მომსახურების გაწევა	98	49,799,882	36,795,228	580
კვების პროდუქტების წარმოება	34	19,726,400	14,963,120	572
სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება	28	29,266,000	17,643,600	367
საკვებით და სასმელებით მომსახურება	23	19,340,500	11,426,930	640
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	23	30,636,127	18,501,676	220
დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობები	22	32,192,000	20,905,200	164

ჯანდაცვის საქმიანობები	11	4,327,100	2,596,260	293
რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება	8	7,485,000	4,755,000	62
ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება	8	7,021,000	4,342,600	63
ავეჯის წარმოება	8	4,450,000	2,807,500	55
საბითუმო ვაჭრობა, ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა	7	8,495,000	6,796,000	352
ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა	7	7,290,000	4,594,000	62
სასმელების წარმოება	6	4,724,600	3,046,760	56
ქიმიკატების და ქიმიური პროდუქტების წარმოება	6	4,250,000	2,550,000	37
ტანსაცმლის წარმოება	5	1,040,000	614,000	152
ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტების და ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება	4	12,150,000	7,180,000	47
სახმელეთო ტრანსპორტი და ტრანსპორტირება მილსადენებით	4	2,380,000	1,428,000	93
აგრო ტურისტული ობიექტები	4	1,120,000	657,000	15
განათლება	3	643,500	369,585	7
ხის და კორპის ნაწარმის წარმოება, ავეჯის გარდა; ნაკეთობების წარმოება ჩალის და წნული მასალებისაგან	2	3,530,000	2,118,000	41
საქმიანობები სპორტის, გართობის და დასვენების სფეროში	2	1,500,000	900,000	18
კომპიუტერების, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქციის წარმოება	2	450,000	270,000	10
ეკო ტურისტული ობიექტები	2	225,000	90,000	4
ბეჭდვა და მედია-ჩანაწერების აღწარმოება	2	201,000	120,600	3
ავტომობილებით და მოტოციკლებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა და მათი რემონტი	1	2,550,000	2,040,000	10
ძირითადი ლითონების წარმოება	1	1,800,000	1,080,000	4
თამბაქოს ნაწარმის წარმოება	1	1,500,000	1,200,000	3
საცალო ვაჭრობა, ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა	1	700,000	560,000	2
შემოქმედებითი, სახელოვნებო და გართობის საქმიანობები	1	500,000	300,000	15
ტექსტილის წარმოება	1	157,500	94,500	4
კოქსის და ნავთობპროდუქტების წარმოება	1	157,000	125,600	2
საგამომცემლო საქმიანობა	1	100,000	60,000	5
ტყავის და მასთან დაკავშირებული ნაწარმის წარმოება	1	70,000	42,000	5
ჯამი	**328**	**259,777,609**	**170,973,159**	**3,963**

2022 წელს საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში ყოველთვიურად დადასტურებული სესხებისა და გადარიცხული თანხების მოცულობების დინამიკა მოცემულია გრაფიკ 4-ზე.

გრაფიკი 4. საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში დადასტურებული სესხების მოცულობა (მლნ ლარი) და ამავე პროგრამის ფარგლებში გადარიცხული თანხა (მლნ ლარი), (2021-2022)



იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმი

პროგრამა მოქმედებდა 2020 წლის ივნისში-დეკემბრის პერიოდში და მიზანად ისახავდა დეველოპერულ სექტორში, COVID 19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური სირთულეების დაძლევას, უძრავ ქონებაზე წვდომის გაუმჯობესებას იმ ფიზიკური პირებისათვის, რომელთაც არ ჰქონდათ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა, ეკონომიკური გაჯანსაღების ხელშეწყობას და უძრავ ქონებაზე მოთხოვნის სტიმულირებას. პროგრამა ფარავდა ორ კომპონენტს, სესხის პროცენტის სუბსიდირების და საგარანტიო, და ვრცელდებოდა 2020 წლის ივნისიდან-დეკემბრამდე პერიოდში გაცემულ იპოთეკურ კრედიტებზე. დარიცხული საპროცენტო სარგებლის სუბსიდირება ხორციელდებოდა სესხის გაცემიდან 60 თვის მანძილზე, არა უმეტეს 4%-ის ოდენობისა, შემდეგი წესით:
გარდა აღნიშნულისა, პროგრამა მოიცავს რამოდენიმე კომპონენტს:

- მცურავ საპროცენტო განაკვეთში გაცემული სესხ(ებ)ის შემთხვევაში – დარიცხულ რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 4.25% (იმ დრომდე, სანამ დარიცხული რეფინანსირების განაკვეთი გაუტოლდება 5%-ს);

- ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთში გაცემული სესხ(ებ)ის შემთხვევაში – ფიქსირებულად, სესხის ხელშეკრულების გაფორმების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 4.25%;

იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმის ფარგლებში დამტკიცებული სესხების რაოდენობა და მოცულობა ბანკების მიხედვით, მოცემულია ცხრილ 8-ში.

ცხრილი 8. იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმის ფარგლებში დამტკიცებული სესხების რაოდენობა და მოცულობა ბანკების ჭრილში (2020)

ბანკი	სესხების რაოდენობა	სესხების მოცულობა (ლარი)
საქართველოს ბანკი	2,803	249,256,220
თიბისი ბანკი	2,320	239,763,727
ვითიბი ბანკი	927	91,117,982
ლიბერთი ბანკი	313	26,173,586
ტერაბანკი	218	19,120,853
ბაზისბანკი	135	11,012,261
ხალიკ ბანკი	32	2,876,780
კრედო ბანკი	21	1,831,687
იშ ბანკი	3	372,950
პროკრედიტ ბანკი	3	279,200
ჯამი	**6,775**	**641,805,246**

იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმის ფარგლებში დადასტურებული სესხებისა და ყოველთვიურად გადარიცხული თანხების მოცულობების დინამიკა მოცემულია გრაფიკ 5-ზე.

გრაფიკი 5. იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმის ფარგლებში დადასტურებული სესხების მოცულობა (მლნ ლარი) და ამავე პროგრამის ფარგლებში გადარიცხული თანხა (მლნ ლარი), (2020-2022)



სუბსიდირებული
იპოთეკური სესხი

პროგრამა ამოქმედდა 2021 წლის სექტემბრიდან და მიზნად ისახავს მრავალშვილიანი ან/და იმ ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავთ ახალშეძენილი შვილი/შვილები, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა იპოთეკური კრედიტების სუბსიდირების გზით. პროგრამა ვრცელდება როგორც მეორადი ბინის/სახლის შეძენაზე, ასევე სახლის მშენებლობაზე და ითვალისწინებს იპოთეკურ კრედიტებზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის სუბსიდირებას სესხის გაცემიდან 60 თვის მანძილზე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული

- 3.5%, მაგრამ არაუმეტეს 6%–ის ოდენობით – თუ მსესხებელს ჰყავს 1 ან 2 შვილი,
- 1.5%, მაგრამ, არაუმეტეს 8%–ის ოდენობით – თუ მსესხებელს ჰყავს 3 ან მეტი შვილი;

იპოთეკური კრედიტის მხარდაჭერის მიმდინარე პროგრამაში 2022 წელს 3,063 განაცხადი დადასტურდა, რომლებზე დამტკიცებული სესხის მოცულობამ 345 მლნ ლარზე მეტი შეადგინა.

ცხრილი 9. იპოთეკური სესხის მოცულობის შეჯამება (2021-2022)

სესხების თანადაფინანსება	2021	2022
სესხების ჯამური რაოდენობა	1,222	3,063
მათ შორის, მარტოხელა მშობლებზე დამტკიცებული სესხების რაოდენობა	17	186
ქვრივებზე დამტკიცებული სესხების რაოდენობა	6	15
დამტკიცებული სესხების მოცულობა (მლნ ლარი)	135	345

პროგრამაში ჩართული იპოთეკური სესხებიდან ყველაზე მეტი სესხი თბილისსა და აჭარის რეგიონს ეკუთვნის.

ცხრილი 10. იპოთეკური სესხები ხეგიონების ჭრილში (2022)

რეგიონი	სესხების რაოდენობა	სესხების მოცულობა (ლარი)
თბილისი	1,970	244,793,142
აჭარა	296	30,649,950
იმერეთი	208	16,723,750
ქვემო ქართლი	172	13,907,040
სამცხე-ჯავახეთი	131	13,627,960
მცხეთა-მთიანეთი	75	9,528,790
შიდა ქართლი	103	8,364,320
სამეგრელო-ზემო სვანეთი	49	3,861,520
კახეთი	37	2,272,110
გურია	16	792,260
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	6	503,090
ჯამი	**3,063**	**345,023,932**

სუბსიდირებული იპოთეკური სესხის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ყოველთვიურად დადასტურებული სესხებისა და გადარიცხული თანხების მოცულობების დინამიკა მოცემულია გრაფიკ 6-ზე.

გრაფიკი 6. სუბსიდირებული იპოთეკური სესხის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დადასტურებული სესხებისა და გადარიცხული თანხების მოცულობების დინამიკა (2021-2022)



კინოინდუსტრიის ნაწილი

კინო ინდუსტრიის განვითარების ხელშემწყობი პროგრამა ამოქმედდა 2016 წლიდან და მისი მიზანია ადგილობრივი კინოინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა, უცხოური კინოწარმოების მოზიდვა, ადგილობრივი კინოინდუსტრიის ბაზრის ზრდა, ქვეყნის ტურისტული პოტენციალის განვითარება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა. დაინტერესებულ ქართველ და უცხოელ მწარმოებლებს შეუძლიათ ისარგებლონ კვალიფიციური ხარჯის 20-25%-ის უკან დაბრუნების პროგრამით.

კინო ინდუსტრიის განვითარების პროგრამის ფარგლებში 2022 წელს გაფორმდა 7 ახალი ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც გასაწევი კვალიფიციური ხარჯის მოცულობა 13 მლნ ლარს შეადგენს. პროექტების ფარგლებში შეიქმნება 3,418 დროებითი სამუშაო ადგილი.

[2]კვალიფიციური ხარჯი – პროგრამის ბენეფიციარის მიერ საქართველოში №2 დანართის შესაბამისად განხორციელებული ხარჯი, თუ ის გაწეულია საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს რეზიდენტის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის ამ პროგრამის ფარგლებში მიწოდებულ მომსახურებაზე (საქონელზე).

ცხრილი 11. კინო ინდუსტრიის სტატისტიკა

კინო ინდუსტრიის განვითარება	2016-2018	2019	2020	2021	2022
პროექტების რაოდენობა	15	8	0	1	7
კვალიფიციური ხარჯის მოცულობა (მლნ)	36,648,134	48,304,605	0	505,400	13,160,622
დროებითი სამუშაო ადგილები	5,187	8,998	0	120	3,418
გაცემული თანხა	2,710,361	8,506,120	7,088,580	130,149	56,711

- სახელმწიფო პროგრამის "გადაიღე საქართველოში" ფარგლებში, 2022 წელს განხორციელდა სამუშაო ვიზიტი ჰოლივუდში, სადაც ქართული საპროდუსერო კომპანიის წარმომადგენელი მსოფლიო კინო ინდუსტრიის წამყვან კომპანიებს შეხვდნენ.

- 2022 წელს სააგენტომ USAID Economic Security Program-ის მხარდაჭერით უმასპინძლა გაცნობით, ე.წ. FAM ტურს, ამერიკელი ლოკაციების მენეჯერებისა და პროდუსერებისათვის. ასევე USAID Economic Security Program-ის მხარდაჭერით გაიმართა ღონისძიება საერთაშორისო პროდუსერებისა და ლოკაციების მენეჯერებისათვის.

- წლის მანძილზე პროგრამა "გადაიღე საქართველოში" წარდგენილი იყო ისეთ საერთაშორისო ფესტივალებზე, როგორიცაა კანის და ანესის კინო ფესტივალები.



FILM IN GEORGIA

შეხვედრები
კომპანიებთან

2022 წლის განმავლობაში სააგენტოსა და ასევე, საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაციების და საქართველოს პარლამენტის ჩართულობით, ჯამში ჩატარდა 50 შეხვედრა. შეხვედრები ჩატარდა სხვადასხვა ბიზნეს სექტორის და კლასტერის წარმომადგენლებთან, სადაც მონაწილეებს ინფორმაცია მიეწოდათ „აწარმოე საქართველოში“ ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამების შესახებ. აღნიშნული შეხვედრები, ასევე მიზნად ისახავდა სახელმწიფო პროგრამების შესახებ ცნობადობის ამაღლებას და სექტორებში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას, შემდგომში მათი მხარდაჭერისა და გადაჭრის მიზნით.

მიკრო მეწარმეობის
განვითარების დეპარტამენტი

მიკრო მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტი აერთიანებს სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის (მიკრო გრანტების), რეგიონული საკონსულტაციო ცენტრების და მომსახურების ცენტრის (სამსახური) საქმიანობებს. მიკრო მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტის ამოცანები და ფუნქციები შემდეგია:

- დამწყები ბიზნესის განვითარება სახელმწიფო წამახალისებელი პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების გზით;

- სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ორგანიზება და განხორციელება; ბენეფიციარებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის კონსულტაციის გაწევა;

- პროგრამის ორგანიზების, განხორციელებისა და მართვის მიზნით საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის შექმნა და დანერგვა;

- დაინტერესებული პირებისთვის ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამების შესახებ ადგილზე და დისტანციური არხების საშუალებით (სატელეფონო ცენტრი და სხვ.) კონსულტაციის გაწევა;

- მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მიკრო და მცირე
მეწარმეობის ნაწილი

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის მიზანია მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარება, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ახალი ბიზნესის წამოწყებისთვის ან/და არსებული ბიზნესის გადაიარაღებისთვის აუცილებელი ფინანსური მხარდაჭერის და ტექნიკური დახმარების გაწევის გზით.

ფინანსური მხარდაჭერა ითვალისწინებს პოტენციური ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი გრანტის გამოყოფას მაქსიმუმ 30,000 ლარის ოდენობით (საპილოტე რეგიონებში – იმერეთი, გურია, კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი მაქსიმუმ 40,000 ლარი). პროექტის ფარგლებში მიღებული დაფინანსების არანაკლებ 90% უნდა იქნას გამოყენებული კაპიტალური დანახარჯების, ხოლო არაუმეტეს 10%-სა საბრუნავი საშუალებების შესაძენად.

იმ პოტენციური ბენეფიციარებისათვის, რომლებიც წარმატებით გაივლიან პროგრამის ბიზნეს იდეის შერჩევის ეტაპს, პროგრამა ასევე ითვალისწინებს ტექნიკური დახმარების კომპონენტს, რაც მოიცავს ტრენინგების ჩატარებას ისეთ საკითხებში, როგორიცაა ზოგადი მეწარმეობა, ბიზნეს გეგმის შედგენა, სოციალურ და გარემოს დაცვითი საკითხები.

2015-2022 წლებში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 8,209 პროექტი. აღნიშნულ პროექტებში სულ ჩართული იყო 11,381 ბენეფიციარი, რომელთაგანაც 4,778 ქალია. სააგენტოს მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჯამურად გაცემულმა თანხის მოცულობამ შეადგინა 91.3 მლნ ლარი, ხოლო ინვესტიციამ 116 მლნ ლარს გადააჭარბა. პროგრამის ფარგლებში შეიქმნა 21,000-ზე მეტი სამუშაო ადგილი.

2022 წელს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 1,308 პროექტი, რომლებზე გადარიცხული თანხის მოცულობამ 29.9 მლნ ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ დაფინანსებული ბენეფიციარების 50.4% - ს წარმოადგენენ ქალი მეწარმეები.

ცხრილი 12. მიკრო გრანტების მიმართულების შეჯამება წლების ჭრილში (2015-2022)

წელი	პროექტების რაოდენობა	ბენეფიციარების რაოდენობა	ქალი ბენეფიციარების რაოდენობა	დასაქმება
2015	608	859	282	1,374
2016	2,596	4,055	1,654	6,488
2017	2,109	3,498	1,411	5,597
2018	899	972	438	1,555
2020	689	689	334	2,432
2022	1,308	1,308	659	3,739
სულ	**8,209**	**11,381**	**4,778**	**21,185**

რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი მოცულობის გრანტი 2022 წელს გაიცა იმერეთს, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და კახეთის რეგიონებში.

ცხრილი 13. მიკრო გრანტების მიმართულების შეჯამება (2022)

რეგიონი	ქალი	კაცი	სულ	გადარიცხული თანხა	თანამონაწი-ლეობის თანხა	ინვესტიცია
აჭარა	61	67	128	2,975,653	801,884	3,777,537
გურია	22	38	60	1,687,838	487,888	2,175,726
თბილისი	90	47	137	3,101,454	755,360	3,856,814
იმერეთი	61	87	148	3,711,300	1,039,742	4,751,042
კახეთი	73	56	129	3,438,711	921,391	4,360,101
მცხეთა-მთიანეთი	52	33	85	1,837,671	454,066	2,291,737
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	61	51	112	3,126,379	878,747	4,005,125
სამეგრელო-ზემო სვანეთი	91	97	188	3,513,211	1,023,851	4,537,062
სამცხე-ჯავახეთი	52	73	125	2,593,954	595,005	3,188,960
ქვემო ქართლი	33	38	71	1,687,300	402,101	2,089,401
შიდა ქართლი	63	62	125	2,313,020	669,315	2,982,335
სულ	**659**	**649**	**1,308**	**29,986,490**	**8,029,350**	**38,015,839**

სექტორების მიხედვით, პროგრამის არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე, როგორც რაოდენობრივად, ისე მოცულობით, ყველაზე მეტი მიკრო გრანტი გაიცა დამამუშავებელ მრეწველობასა და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობების სექტორებში.

ცხრილი 14. მიკრო გრანტების მიმართულების შეჯამება სექტორების ჭრილში (2015-2022)

სექტორი	პროექტების რაოდენობა	გადარიცხული თანხა (ლარი)	ინვესტიცია (ლარი)	დასაქმება
დამამუშავებელი მრეწველობა	3,129	37,258,376	47,287,058	8,195
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	1,861	22,472,681	29,072,849	5,169
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	1,225	9,592,363	12,524,844	3,189
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	766	7,362,053	9,377,332	1,585
სხვა სახის მომსახურება	391	4,513,837	5,687,264	908
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	181	2,660,778	3,335,724	416
ხელოვნება, გართობა და დასვენება	125	1,726,838	2,209,459	384
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	121	1,453,240	1,808,236	331
განათლება	98	1,135,414	1,396,902	268
მშენებლობა	93	925,648	1,172,284	227
ტრანსპორტი და დასაწყობება	90	845,930	1,148,029	237
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	90	705,784	927,496	178
ინფორმაცია და კომუნიკაცია	33	525,307	646,026	79
სამთომოპოვებითი მრეწველობა	4	31,744	40,199	11
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	1	10,000	16,840	5
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	1	35,000	55,000	4
სულ	**8,209**	**91,254,994**	**116,705,543**	**21,185**

პროგრამის არსებობის სრული პერიოდის მანძილზე გაცემული გრანტებისა და პროექტების ფარგლებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა წლების მიხედვით მოცემულია გრაფიკ 7-ზე.

გრაფიკი 7. მიკრო გრანტების მიმართულების ფარგლებში გადარიცხული თანხა (მლნ ლარი) და ინვესტიცია (ლარი), (2015-2022)



რეგიონული
საკონსულტაციო ცენტრები

2022 წელს სააგენტომ დაიწყო მუშაობა მთელი საქართველოს მასშტაბით რეგიონული საკონსულტაციო ცენტრების გახსნაზე. საკონსულტაციო ცენტრები საშუალებას მისცემს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს, მიიღონ საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება.

ცენტრში მეწარმე შეძლებს გაიაროს ინდივიდუალური კონსულტაცია ცენტრის თანამშრომელთან და სრულყოფილი ინფორმაცია მიიღოს ქვეყანაში მიმდინარე ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების შესახებ. მეწარმეს ასევე შეეძლება სიღრმისეული ბიზნეს-დიაგნოსტიკის გავლა, რაც დაეხმარება უკეთ გაიგოს საკუთარი ბიზნესის საჭიროებები. დიაგნოსტიკით გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით, მეწარმეს შეეძლება ისარგებლოს ცენტრში შეთავაზებული საკონსულტაციო მომსახურებით და ამავე მომსახურების თანადაფინანსებით ან/და დაესწროს შესაბამის ტრენინგს/სემინარს, რაც ხელს შეუწყობს მის სამეწარმეო საქმიანობას.

ცენტრის წევრ მეწარმეებს შეეძლებათ დაამყარონ კონტაქტები თავიანთი სექტორის ან ღირებულებათა ჯაჭვის სხვა წარმომადგენლებთან, თავისუფლად ისარგებლონ ცენტრებში განთავსებული საერთო სამუშაო სივრცით, და/ან დაესწრონ ცენტრში დაგეგმილ სხვადასხვა ინფორმაციულ თუ საგანმანათლებლო ღონისძიებას.

პირველი საკონსულტაციო ცენტრების გახსნა რეგიონებში იგეგმება 2023 წელს.

მომსახურების ცენტრი

მომსახურების ცენტრის (სამსახური) ამოცანები და ფუნქციები შემდეგია:

- დაინტერესებული პირებისთვის სახელმწიფოს ხელშემწყობი პროგრამების შესახებ ადგილზე და დისტანციური არხების საშუალებით (სატელეფონო ცენტრი და სხვ.) კონსულტაციის გაწევა, შესაბამის მომართვაზე ინფორმაციის მოძიება და მიწოდება;
- სატელეფონო გამოკითხვების განხორციელება;
- გაწეული კონსულტაციების შესახებ ანგარიშგებების მომზადება და შესაბამისი სამსახურებისათვის მიწოდება;
- სააგენტოს ელექტრონულ მისამართზე შემოსული კორესპონდენციის მართვა.

სააგენტოს მომსახურების ცენტრი აერთიანებს შემდეგ მომსახურების არხებს:

სატელეფონო ცენტრის ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად, ფუნქციონირებს პროგრამა "კლიენტებთან ურთიერთობის მენეჯმენტი" (CRM). პროგრამა თვლის სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ გაწეულ კონსულტაციებს და წარმოადგენს „Case Management System"-ის ინსტრუმენტს შემდეგი მომსახურების საფუძველზე:

შემოსული და გამავალი ზარების მონიტორინგი

აუდიო ჩაწერა

გადასაჭრელი და პრიორიტეტული საკითხების იდენტიფიკაცია და სისტემატიზაცია

ანგარიშგების მენეჯმენტი სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით, როგორებიცაა ბენეფიციარების ეკონომიკური საქმიანობა, რეგიონული დაყოფა, ოპერატორის პორტფოლიო და სხვა

სააგენტოს მომსახურების ცენტრში სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით 2022 წელს დაფიქსირდა მომართვიანობის 40,656 შემთხვევა. აღნიშნული მოიცავს: შემოსულ ზარებს, გასულ ზარებს, ონლაინ ჩატს, ფეისბუქ ჩატს და ელექტრონულ ფოსტას.

ცხრილი 15. მომსახურების ცენტრის დატვირთვა

მომსახურების ცენტრი	2019	2020	2021	2022
სულ მომართვიანობა	**19,148**	**50,398**	**28,580**	**40,656**
შემოსული და გასული ზარი	13,203	28,448	18,071	27,549
ონლაინ და ფეისბუქ ჩატი	4,288	16,285	6,394	7,432
ელექტრონული ფოსტა	1,657	5,665	4,115	5,675

მომსახურების ცენტრმა ყველა დაინტერესებულ მხარეს მიაწოდა საჭირო ინფორმაცია შემდეგი სააგენტოების მომსახურებაზე/პროექტებზე:

- სააგენტო „აწარმოე საქართველოში“;
- სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო;
- საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო;
- სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო;
- საპარტნიორო ფონდი.

ექსპორტის
დეპარტამენტი





სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ექსპორტის მიმართულების მიზანია ექსპორტის სტიმულირება, ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა და ქვეყნის საექსპორტო პროდუქციის პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე. ამ მიზნით სააგენტოს ექსპორტის დეპარტმანეტი აერთიანებს სამ ძირითად მიმართულებას: საერთაშორისო გამოფენებისა და სავაჭრო მისიების ორგანიზებას და კომპანიების მონაწილეობის ხელშეწყობა; საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ექსპორტის სტიმულირების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა და ექსპორტის მენეჯერთა სასერთიფიკატო კურსის ორგანიზება.

გარდა აღნიშნულისა, დეპარტამენტი ადმინისტრირებას უწევს პლატფორმა Tradewith-Georgia.com-ს, სადაც ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებს შეუძლიათ განათავსონ ინფორმაცია საკუთარი კომპანიისა და პროდუქციის შესახებ. ასევე დეპარტამენტის მხარდაჭერით შემუშავდა უფასო ონლაინ ტრენინგები ექსპორტის საბაზისო საკითხებზე, რომელიც ხელმისაწვდომია ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიებისთვის.

ექსპორტის დეპარტამენტის ამოცანები და ფუნქციები შემდეგია:

- საექსპორტო პოტენციალის მქონე სექტორების იდენტიფიცირება, მხარდაჭერა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა;

- საექსპორტო პოტენციალის მქონე სექტორების და კომპანიების პორტფელის შექმნა, კატეგორიებად დაყოფა და მართვა;

- საერთაშორისო მიზნობრივი ბაზრების იდენტიფიცირება, ბაზრებზე შეღწევადობის და დამკვიდრების მიზნით, სტრატეგიის შემუშავება და შესაბამისი აქტივობების განხორციელება;

- ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარების მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დონორებთან, ბიზნესასოციაციებთან, პროფესიულ გაერთიანებებთან, საგანმანათლებლო და სხვა შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

- ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, საერთაშორისო გამოფენებისა და სავაჭრო მისიების ორგანიზება და/ან მონაწილეობის ხელშეწყობა;

- ქვეყანაში ექსპორტის შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიცირება, მათი აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობა;

- ადგილობრივი პროდუქტების და სერვისების საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შეფასება და დადებითი რეპუტაციის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საერთაშორისო გამოფენების/ღონისძიებების ორგანიზება

ექსპორტის დეპარტამენტის ერთ–ერთ ძირითად მიმართულებას საერთაშორისო გამოფენების/ღონისძიებების ორგანიზება და საქართველოში არსებული სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელი კომპანიების თანადაფინანსება წარმოადგენს. აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს ქართული კომპანიების მონაწილეობას საერთაშორისო/ადგილობრივ ღონისძიებებში ახალ პარტნიორებთან დაკავშირების და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით.

2022 წელს ექსპორტის დეპარტამენტმა მხარი დაუჭირა ქართული კომპანიების 20 საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობას. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში სააგენტოს მხრიდან განხორციელდა თანადაფინანსების 142 ფაქტი, მხარი დაეჭირა 89 კომპანიას, ხოლო ღონისძიებებებზე გადარიცხული თანხების მოცულობამ შეადგინა 2.6 მილიონი ლარი.

ცხრილი 16. განხორციელებული საერთაშორისო საექსპორტო ღონისძიებები 2019-2022 წლებში

საერთაშორისო საექსპორტო ღონისძიება	2019	2020	2021	2022
ღონისძიებების რაოდენობა	15	11	9	20
თანადაფინანსების ფაქტების რაოდენობა	167	68	62	142
ბენეფიციართა რაოდენობა	120	49	45	89

2022 წელს სექტორების მიხედვით, თანადაფინანსების ფაქტების 50% მოდის ტანსაცმლისა და აქსესუარების, 39% - საკვებისა და სასმელისწარმოების, ხოლო 11% ნაწილდება ისეთ სექტორებიზე, როგორიცაა განახლებადი ენერგია, ელექტრონული მოწყობილობები, შესაფუთი მასალები და ვეტერინარია და ცხოველთა საკვები დანამატები.

ცხრილი 17. თანადაფინანსების ფაქტები სექტორების მიხედვით 2019-2022 წლებში

თანადაფინანსების ფაქტები სექტორის მიხედვით	2019	2020	2021	2022
საკვები და სასმელი	103	19	30	56
ტანსაცმელი და აქსესუარები	55	49	30	71
განახლებადი ენერგია	-	-	-	2
სხვა	9	-	2	13
სულ	**167**	**68**	**62**	**142**

ადგლმდებარეობის მიხედვით, ღონისძიების 52% ჩატარდა ევროპის რეგიონში, 17% კი აზიაში. ღონისძიებების განაწილება რეგიონებისა და სექტორების მიხედვით იხილეთ ცხრილ 18-ში.

ცხრილი 18. განხორციელებული საერთაშორისო საექსპორტო ღონისძიებები ჩატარების ადგილმდებარეობისა და სექტორის მიხედვით (2022)

ღონისძიება	კომპანიების რაოდენობა	სექტორი	ადგილმდებარეობა
Sial Paris	28	საკვები და სასმელი	საფრანგეთი
Gulfood	14	საკვები და სასმელი	არაბთა გაერთიანებული საამიროები
Fashion Week SS	10	ტანსაცმელი და აქსესუარები	საფრანგეთი, ჩინეთი
Fashion Week FW	9	ტანსაცმელი და აქსესუარები	საფრანგეთი, ჩინეთი
Playtime Marketplace	8	ტანსაცმელი და აქსესუარები	Online
Playtime Paris Summer Show	8	ტანსაცმელი და აქსესუარები	საფრანგეთი
Playtime Paris Winter Show	8	ტანსაცმელი და აქსესუარები	საფრანგეთი
Fashion Week Resort	7	ტანსაცმელი და აქსესუარები	საფრანგეთი, ჩინეთი, იაპონია, იტალია
Food & Drink Expo	7	საკვები და სასმელი	დიდი ბრიტანეთი
Food Ingredients	7	საკვები და სასმელი	საფრანგეთი
Pitti Immagine Bimbo Summer Show	7	ტანსაცმელი და აქსესუარები	იტალია
FachPack	6	შესაფუთი მასალები	გერმანია
MICAM&MIPEL MILANO	6	ტანსაცმელი და აქსესუარები	იტალია
AgroExpo Uzbekistan	5	ვეტერინარია და ცხოველთა საკვები დანამატები	უზბეკეთი
APLF Dubai	4	ტანსაცმელი და აქსესუარები	არაბთა გაერთიანებული საამიროები
Las Vegas Couture show	2	ტანსაცმელი და აქსესუარები	აშშ
Pitti Immagine Bimbo Winter Show	2	ტანსაცმელი და აქსესუარები	იტალია
Power and Electricity World Africa	2	ელექტრონული მოწყობილობები	სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა
INTERSOLAR North America	1	განახლებადი ენერგია	აშშ
Solar Power Exhibition (SPI)	1	განახლებადი ენერგია	აშშ

ექსპორტის მენეჯერთა გადამზადება

სააგენტო ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების თანამშრომლებს სთავაზობს ექსპორტის მენეჯერთა სასერთიფიკატო კურსებს. კურსი შედგება ექსპორტზე ორიენტირებული მოდულებისგან და მიზნად ისახავს ექსპორტის მენეჯერთა კვალიფიკაციის ამაღლებას და გადამზადებას.

2022 წლის განმავლობაში სააგენტომ 4-ჯერ განახორციელა ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსი თბილისში, ქუთაისსა და თელავში. აღნიშნულ კურსებს დაესწრო 82 პირი.

ცხრილი 19 ექსპორტის მენეჯერთა სასერთიფიკატო კურსები 2019-2022 წლებში

ექსპორტის მენეჯერთა სასერთიფიკატო კურსი	2019	2021	2022
ჩატარებული კურსების რაოდენობა	3	3	4
გადამზადებულ მენეჯერთა საოდენობა	65	71	82



ექსპორტის სტიმულირების პროგრამა

ექსპორტის დეპარტამენტმა 2022 წელს დაიწყო ტექნიკური დახმარების კომპონენტი, რომელიც მიზნად ისახავს ექსპორტზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობას. ექსპორტის სტიმულირების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა, ითვალისწინებს კომპანიების დახმარებას სერტიფიცირება და ლიცენზირების, ბრენდინგის და საერთაშორისო ქსელში შესვლის მიმართულებებზე;

2022 წელს, აღნიშნული პროექტის გამარჯვებულად გამოვლინდა 49 კომპანია. გამარჯვებულები პროგრამის კომპონენტების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდნენ:

- ბრენდინგი - 30
- სერტიფიცირება და ლიცენზირება - 16
- საერთაშორისო ქსელში შესვლა - 3



სხვა ადგილობრივი პროექტები

2022 წლის განმავლობაში ექსპორტის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ადგილობრივი პროექტი:

- 2022 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, ქვეყნის საექსპორტო პლატფორმაზე ***www.tradewithgeorgia.com*** რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა გაიზარდა 731-მდე.

- 2022 წელს ქართული აგროკომპანიებისთვის ექსპორტის საბაზრო კავშირების დამყარების ახალი პროგრამა დაიწყო. აღნიშნული პროგრამა USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამისა და სოფლის განვითარების სააგენტოს ერთობლივი ხელშეწყობით, 2022 წლის აგვისტოდან ამოქმედდა. პროგრამის მიზანია ქართველი მწარმოებლების დაკავშირება გერმანიასა და სპარსეთის ყურის ქვეყნებში არსებულ დაინტერესებულ მყიდველებთან. პროგრამაში მონაწილეობისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით შეირჩა ლურჯი მოცვისა და კაკლოვანი კულტურების მწარმოებელი და სურსათის გადამამუშავებელი 80-მდე ექსპორტზე ორიენტირებული საწარმო.

- ექსპორტის დეპარტამენტმა კონსულტაცია გაუწია 900-მდე დაინტერესებულ პირს ექსპორტთან დაკავშირებულ საკითხებში, როგორც სატელეფონო, ისე ელ.ფოსტის და ინდივიდუალური შეხვედრების გზით.

ინვესტიციების
დეპარტამენტი

სააგენტოს ინვესტიციების მიმართულება წარმოადგენს ერთგვარ მედიატორს უცხოელ ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის, მუშაობს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ და ეხმარება დაინტერესებულ ინვესტორებს სხვადასხვა ინფორმაციის მიღებასა და ქართულ მხარესთან ეფექტური კომუნიკაციის წარმოებაში. ინვესტიციების დეპარტამენტის ამოცანები და ფუნქციები შემდეგია:

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, საქართველოში არსებული საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერა და რეინვესტირების ხელშეწყობა;

- საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის შესწავლა და პრიორიტეტული სექტორების იდენტიფიცირება;

- ქვეყნის საინვესტიციო გარემოს პოპულარიზაციისა და საერთაშორისო საინვესტიციო რეიტინგებში ქვეყნის ცნობადობის ამაღლების მიზნით, სტრატეგიის შემუშავება და შესაბამისი აქტივობების განხორციელება;

- ქვეყნის საინვესტიციო გარემოს პოპულარიზაციისა და საინვესტიციო პროექტების შეთავაზების მიზნით, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ინვესტორებთან, დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან, დონორებთან, ბიზნეს ასოციაციებთან და შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

- პოტენციური ინვესტორი პირებისა და ორგანიზაციების საინვესტიციო პრეზენტაციებით და საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურებით უზრუნველყოფა;

- პრიორიტეტული სექტორების და პოტენციური ინვესტორი კომპანიების იდენტიფიცირება, აღრიცხვა შესაბამის ბაზაში და კომპეტენციის ფარგლებში, მოლაპარაკებების წარმოება;

- საინვესტიციო პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობა, მოლაპარაკებების კოორდინირება და პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი.

საინვესტიციო პოტენციალის კვლევა და ცნობადობის ზრდა

საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის გამოსავლენად ინვესტიციების დეპარტამენტმა 2022 წელს განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- სააგენტოს დაკვეთით მომზადდა "საქართველოში თვითმფრინავების მომსახურებისა და შეკეთების ცენტრის პროექტის პოტენციალის" კვლევა. საკონსულტაციო კომპანია Frost & Sullivan-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოს აქვს პოტენციალი თვითმფრინავების მომსახურების რეგიონალური ჰაბი გახდეს.

- Bloomberg-თან თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველო ჩაერთო საერთაშორისო ინვესტორების მოსაზრებების კვლევაში, რომლის მიხედვითაც მე-13 ადგილი დაიკავა ყველაზე საინტერესო საინვესტიციო ლოკაციების სიაში.

საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის ცნობადობის ზრდის მიმართულებით დეპარტამენტმა 2022 წელს განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- სააგენტოს ინიციატივით ჩატარდა მასშტაბური კამპანია გლობალურ მედია გიგანტ Bloomberg-თან ერთად, რომლის ფარგლებშიც საქართველოზე, როგორც საინვესტიციო ლოკაციაზე მომზადდა ვიდეო რგოლები, სატელევიზიო და სოციალური მედიის რეკლამები. მხოლოდ სოციალური მედიის საშუალებით საქართველოს შესახებ რეკლამები ჯამში 10 მილიონზე მეტმა ადამიანმა ნახა.

- საქართველოს შესახებ გლობალურ გამოცემებში გამოქვეყნდა 12 სტატია/ანგარიში.

- სამიზნე კომპანიებთან შეხვედრის მიზნით, სააგენტოს წარმომადგენლები დაესწრნენ 21 ღონისძიებას და ორგანიზება გაუწიეს 4 Road-show-ს. ღონიძიებების ფარგლებში შეხვედრები გაიმართა 600-მდე კომპანიასთან.

- სააგენტოსთან თანამშრომლობით, საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია OCO Global-ი 900-ზე მეტ კომპანიას დაუკავშირდა და შედეგად საკონფერენციო ზარი განხორციელდა 40-მდე პოტენციურ კომპანიასთან.
- გაიმართა ლოკაციის სკაუტების გაცნობითი ტური, რომელსაც 13 კონსულტანტი დაესწრო.

- საქართველოს საინვესტიციო გარემოს კონსულტანტებისთვის გასაცნობად, სააგენტო გახდა ლოკაციის კონსულტანტების ყველაზე დიდი ასოციაციის Site Selector's Guild-ის წევრი.

საინვესტიციო პროექტები საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ბიზნეს პროცესების აუთსორსინგის (IT/BPO) მიმართულებით

2022 წელს სააგენტოს ხელშეწყობით დაიწყო 7 ახალი საინვესტიციო პროექტის განხორციელება, რომელთა ჯამური ღირებულება 10.5 მილიონი აშშ დოლარია და ითვალისწინებს 1,350 ახალი სამუშაო ადგილის შექმნას.

ცხრილი 20. საინვესტიციო პროექტების სტატისტიკა (2022)

საინვესტიციო პროექტების რაოდენობა	ქვეყანა	სექტორი	ახალი სამუშაო ადგილები
3	ამერიკის შეერთებული შტატები	საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT)	400
1	ლიეტუვა	გლობალური ბიზნეს სერვისები (GBS)	500
1	დიდი ბრიტანეთი	საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT)	150
1	ჩეხეთი	საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT)	100
1	ლუქსემბურგი	საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT)	200

ფინანსური პროცესებისა და
რისკების მართვის დეპარტამენტი

ფინანსური პროცესებისა და რისკების მართვის დეპარტამენტის ამოცანები და ფუნქციები შემდეგია:

- მეწარმეობის ხელშემწყობი პროგრამების ბიუჯეტის განკარგვის პროცედურების შემუშავება და აღსრულება, რისკების ინდეტიფიცირება და პრევენციული ზომების შემუშავება;
- სახელმწიფო პროგრამებში ჩართული ფინანსური ინსტიტუტების მიერ მოთხოვნილი თანხების შემოწმება და საბანკო გადარიცხვების ინიცირება; ინფორმაციის გაცვლის ფორმის, მასთან დაკავშირებული პროცესების დანერგვა და ადაპტაცია; ეფექტური კომუნიკაციის წარმოება;
- სახელმწიფო პროგრამების აღსრულების ეფექტურობის გაზრდის მიზნით ცვლილებების შემუშავება და ინიცირება;
- მიმდინარე სახელმწიფო პროგრამებთან დაკავშირებული ანგარიშების წარმოება და წარდგენა;
- პროგრამის ორგანიზების, განხორციელებისა და მართვის მიზნით საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის შექმნა და დანერგვა.

კერძოდ, დეპარტამენტი ახორციელებს შემდეგი პროგრამების მართვას: სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული და უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილები, სახელმწიფო პროგრამა საკრედიტო საგარანტიო სქემა, სახელმწიფო პროგრამები - „იპოთეკური კრედიტის მხარდაჭერის მექანიზმი“ და „სუბსიდირებული იპოთეკური სესხი“ და მოკლევადიანი სახელმწიფო პროგრამები.

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული და უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილები

სახელმწიფო პროგრამა საკრედიტო საგარანტიო სქემა

სახელმწიფო პროგრამა - „იპოთეკური კრედიტის მხარდაჭერის მექანიზმი“

„სუბსიდირებული იპოთეკური სესხი“

მოკლევადიანი სახლმწიფო პროგრამები

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის მართვა:

- 2022 წელს ფინანსური პროცესებისა და რისკების მართვის დეპარტამენტის მიერ შემუშავდა კონტროლის მექანიზმის გამარტივებული სისტემა. ასევე, შემუშავდა განახლებული დადგენილების პირობების შესაბამისი კონტროლის მექანიზმები და ბიუჯეტის აღრიცხვის მექანიზმი პროგრამების კომპონენტების ჭრილში.

- წლის განმავლობაში დამუშავდა 665 ბიზნეს სესხი. სულ განხორციელდა 800-ზე მეტი ბიზნეს სესხის მართვა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში და გადაირიცხა 75.5 მლნ ლარი.

- 2022 წელს დეპარტამენტის შიდა პროცედურებში დაიხვეწა და ნაწილობრივ გაციფრულდა გადარიცხული თანხების გრაფიკებთან მიმართებაში დადარების და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები.

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ნაწილის მართვა:

- 2022 წელს ფინანსური პროცესებისა და რისკების მართვის დეპარტამენტის მიერ შემუშავდა კონტროლის მექანიზმის გამარტივებული სისტემა. ასევე, შემუშავდა განახლებული დადგენილების პირობების შესაბამისი კონტროლის მექანიზმები და ბიუჯეტის აღრიცხვის მექანიზმი პროგრამების კომპონენტების ჭრილში.

- წლის განმავლობაში დამუშავდა 248 ბიზნეს სესხი. სულ განხორციელდა 300-მდე ბიზნეს სესხის მართვა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში და გადაირიცხა 4 მლნ ლარი. 2022 წელს პროგრამაში ჩაერთო 2 ახალი ფინანსური ინსტიტუტი: 1 სალიზინგო კომპანია და 1 ბანკი.

- 2022 წელს დეპარტამენტის შიდა პროცედურებში დაიხვეწა და ნაწილობრივ გაციფრულდა გადარიცხული თანხების გრაფიკებთან მიმართებაში დადარების და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები.

- აღნიშნულ პროგრამაში განხორციელდა ევროკავშირის ბიუჯეტით დაფინანსებული საპილოტე მიმართულების შესაბამისი პირობებითა და კრიტერიუმებით სესხის თანადაფინანსებისა და საგრანტო თანხების ხარჯვის მექანიზმის დანერგვა. ამ კომპონენტში დამუშავდა 38 სესხი და წლის განმავლობაში გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში, ბანკების ანგარიშებზე განთავსდა 9 მლნ ლარი, მომდევნო ეტაპზე სესხის ჭრილში მიზნობრივი გახარჯვისთვის.

სახელმწიფო პროგრამის საკრედიტო საგარანტიო სქემის მართვა:

- 2022 წლამდე საკრედიტო საგარანტიო სქემისთვის შემუშავდა თვითშემოწმებადი რეპორტინგის ფორმა, რომელიც ადამიანური ხარვეზების გარეშე, მექანიკური ფორმულებით 6 სხვადასხვა კომპონენტში ადარებს პროგრამის ფარგლებში გადარიცხვებს. ამ სქემის საფუძველზე, 2022 წლიდან აქტიურად ჩაეშვა პროგრამისთვის შექმნილი სოფტის შაბლონირება, რომლითაც წლის ბოლოს უკვე სრული პორტფელი იმართებოდა ციფრულად და მინიმუმამდე იყო დაყვანილი ხელით ჩარევის საჭიროება სესხების ბიუჯეტის მართვის ჭრილში.

- 2022 წელს, ჯამში ათვისებულ იქნა 833 ტრანში და გადაირიცხა საგარანტიო თანხა 48 მლნ ლარამდე ოდენობით.

- ამავე პროგრამის ფარგლებში, 2022 წელს, ბანკებში განთავსებული დეპოზიტებისათვის ჩარიცხულმა სარგებელმა შეადგინა 13.5 მლნ ლარი, ხოლო სარგებლობის საკომისიომ (0.3%) - 606 ათასი ლარი.

სახელმწიფო პროგრამების - „იპოთეკური კრედიტის მხარდაჭერის მექანიზმის“ და „სუბსიდირებული იპოთეკური სესხის“ მართვა:

- “იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმის“ სამართავად შემუშავდა და დაიხვეწა გრაფიკების შაბლონები.

- 2022 წლის მეორე ნახევარში შემუშავდა და განხორციელდა პროგრამული უზრუნველყოფის მექანიზმის ფუნქციონალისა და ბანკების მხრიდან სოფტზე დაერთების პროცესი. შედეგად, ათასობით გრაფიკის ხელით მართვის აუცილებლობა და დახარჯული დროის დიდი ნაწილი მინიმუმამდეა დაყვანილი.

ანალიზის, მონიტორინგისა და შეფასების დეპარტამენტი

ანალიზის, მონიტორინგისა და შეფასების დეპარტამენტის ამოცანები და ფუნქციები შემდეგია:

- სააგენტოს პროგრამების შედეგების საზომი მაჩვენებლების შემუშავება და მათი მეშვეობით პროგრამების შედეგების პერიოდული გაზომვა, შედეგებზე დაყრდნობით პროგრამის სრულყოფისათვის განსახორციელებელი ცვლილების ინიცირება;
- სააგენტოს ყველა პროგრამისთვის შესაბამისი მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება და პერიოდული განახლება, მონიტორინგის განხორციელების უზრუნველყოფა;
- სააგენტოს დეპარტამენტების სამუშაოს გაზომვადი მაჩვენებლების სისტემის ჩამოყალიბება და პერიოდული განახლება;
- სამეწარმეო, საექსპორტო და საინვესტიციო სფეროსთან დაკავშირებული საჭირო ანალიტიკური კვლევების იდენტიფიცირება და განხორციელება;
- სააგენტოს ანალიტიკური ინფორმაციით უზრუნველყოფა;
- კომპეტენციის ფარგლებში განცხადებების, საჩივრების, წერილების განხილვა/მომზადება ან/და განხილვაში/მომზადებაში მონაწილეობა;
- სააგენტოს პროგრამების დაგეგმვასა და სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრაში მონაწილეობა.

ანალიტიკის მიმართულება

ანალიტიკის მიმართულებით დეპარტამენტის საქმიანობა მოიცავს ყოველკვირეული, ყოველთვიური და ყოველწლიური ანგარიშების მომზადებას, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებზე მუშაობას, სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით კვლევით საქმიანობას.

2022 წლის განმავლობაში დეპარტამენტმა მოამზადა 50-მდე ყოველკვირეული და 12 ყოველთვიური ანგარიში. დეპარტამენტი, გარკვეული პერიოდულობით (კვარტალურად, ნახევარწლიურად, წლიურად) ახორციელებდა სხვადასხვა სტრატეგიის სამოქმედო გეგმების ფარგლებში შესრულების ანგარიშების მომზადებას.

2022 წელს დეპარტამენტმა იმუშავა ევროკავშირის კითხვარზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან კოორდინირებით. ასევე, 2022 წელს დაიწყო OECD-ის რეიტინგის SME policy index-ის შეფასების კითხვარზე მუშაობა.

შეფასების მიმართულება

შეფასების ნაწილში დეპარტამენტი მუშაობს გავლენის შეფასების ანგარიშებზე სააგენტოს პროგრამებისა და აქტივობების შედეგებისა და ეფექტურობის ანალიზისათვის. მონიტორინგისა და შეფასების სრულფასოვანი სისტემის დანერგვის მიზნით, სააგენტომ 2021 წელს დაასრულა მუშაობა გავლენის შეფასების ჩარჩოს ჩამოყალიბებაზე GIZ-თან თანამშრომლობით, რაც გულისხმობს სააგენტოს პროგრამებისა და აქტივობების შეფასებასა და რეკომენდაციების გაცემას რეგულარულად.

2022 წელს დეპარტამენტმა მოამზადა სააგენტოს პროგრამების ეკონომიკური ზეგავლენის შეფასების საპილოტე ანგარიში, რომლის ფარგლებშიც შეფასდა პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილი და ექსპორტის მხარდამჭერი აქტივობები. მონაცემთა შეგროვების მიზნით შემუშავდა ბენეფიციართა კითხვარი ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ დანიურ პლატფორმაზე SurveyXact და დაეგზავნა 357 ბენეფიციარს.

ასევე, 2022 წელს დაიწყო 2023 წლის გავლენის შეფასების ანგარიშის მოსამზადებლად გაუმჯობესებული კითხვარის შემუშავება და მონაცემთა შეგროვება. შესაფასებლად შერჩეულ მიმართულებებს დაემატა სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილი და საკრედიტო საგარანტიო სქემა.

[3]*მათ შორის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA); საქართველოს 2021-2025 წლების მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრატეგია; საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია; ხედვა 2030 – საქართველოს განვითარების სტრატეგია; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შშმ პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა და სისტემური გარანტიების შექმნა.*

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი აერთიანებს ბუღალტერიის, იურიდიული, საქმისწარმოების, პროგრამული უზრუნველყოფის, HR (ადამიანური რესურსები), საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურისა და გენდერული თანასწორობის საკითხების მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობებს. ადმინისტრაციული დეპარტამენტის ამოცანები და ფუნქციები შემდეგია:

- სააგენტოს სამოქმედო გეგმის მიხედვით ერთიანი ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და მისი შესრულების კოორდინაცია;
- საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების უზრუნველყოფა;
- საგადასახადო დეკლარაციების მომზადება და საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობა;
- მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფინანსური ვალდებულებების შესრულების კონტროლი;
- შესყიდვების წლიური გეგმის შემუშავება, კომპეტენციის ფარგლებში სატენდერო და პირდაპირი შესყიდვის წესით განსაზღვრული პროცედურების წარმართვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური ფასეულობებით და ლოჯისტიკური მომსახურებით უზრუნველყოფა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპეტენციის ფარგლებში სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი მხარდაჭერა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- სააგენტოში არსებული კომპიუტერული ტექნიკის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა (ქსელური მოწყობილობების მართვა, ელექტრონულ მონაცემთა ბაზების სისტემური ადმინისტრირება);
- სააგენტოს საქმისწარმოების ორგანიზება, ხელმძღვანელობა, კოორდინაცია და კონტროლი;
- სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
- პერსონალის შერჩევის პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
- სააგენტოს შინაგანაწესით განმტკიცებული ნორმების შესრულების მონიტორინგი, დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საქმის წარმოება;
- პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერა, სააგენტოს თანამშრომელთა მონაცემთა ბაზისა და პირადი საქმეების წარმოება, საკადრო საქმისწარმოება;
- სტაჟირებისა და პრაქტიკის პროცესის დაგეგმვა და კოორდინაცია;
- თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების მომზადება;
- თანამშრომელთა შეფასების სისტემის შემუშავება და პროცესის კოორდინაცია;
- ჯანსაღი ორგანიზაციული კულტურის ხელშეწყობა.

ფინანსური მაჩვენებლები

2022 წელს არსებული პროგრამების ფარგლებში გაიცა 204 მილიონი ლარი, რომელთა დეტალური ჩაშლაც მოცემულია ცხრილ 21-ში.

ცხრილი 21. პროგრამების ფარგლებში გაცემული თანხები (2021-2022)

	2021	2022
მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება	**138,438,463**	**196,307,928**
სახელმწიფო პროგრამის - საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარლებში დეპოზიტებზე თანხის განთავსება	44,059,365	47,994,950
სახელმწიფო პროგრამა - „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილი	48,948,197	75,504,514
სახელმწიფო პროგრამა - „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ნაწილი	4,486	4,002,194
საგრანტო კომპონენტი	-	728,383
თანადაფინანსების მექანიზმი მცირე და საოჯახო სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობისთვის	131,010	-
სახელმწიფო პროგრამა - სუბსიდირებული იპოთეკური სესხი	23,106,973	37,085,701
მიკრო გრანტების პროგრამა	14,303,493	29,986,490
რესტორნის სესხის პროცენტის სუბსიდირების სქემა	4,453,681	-
სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ - კინო ინდუსტრიის ნაწილი	130,149	56,711
ღონისძიების ორგანიზატორთა სესხის პროცენტის სუბსიდირების სქემა	1,815,925	-
სპორტული ობიექტების/საბავშვო ბაღების სუბსიდირება	1,210,368	-
საერთაშორისო ბრენდი	189,049	354,888
TA - ტექტინური დახმარების კომპონენტი	85,767	33,738
TA - ექსპორტის სტიმულირების პროგრამა	-	560,359
ექსპორტის დეპარტამენტის ხარჯი	**2,673,542**	**3,540,298**
ინვესტიციების დეპარტამენტის ხარჯი	**1,072,350**	**3,809,154**
სულ	**142,184,355**	**203,657,380**

ბუღალტერიის მიმართულება

2022 წელს ბურალტული აღრიცხვის უფრო ეფექტურად მუშაობისათვის ორის ბუღალტერია 7-ში განახლდა ახალი სააღრიცხვო ბაზა:

- მონაცემები დალაგდა შესაბამის შინაარსების და ჯგუფების მიხედვით;
- დაკავშირდა მენეჯერული და ბუღალტრული მოდული, რამაც ინვენტარიზაციის პროცესში უფრო მოქნილი გახადა აქტივების აღრიცხვა;
- საბუღალტრო პროგრამაში განპიროვნდა ბალანსზე რიცხული სასაქონლო მატერიალური ფასეულობები;
- გადაიხედა სააგენტოს საწყობში არსებული სასაქონლო მატერიალური მარაგები და აღირიცხა შესაბამის ბუღალტრულ ანგარიშებზე;
- საბუღალტრო პროგრამაში მოხდა სახელფასო უწყისების გამზადება და კომპანია ორისთან შეთანხმებით შესაძელებელი გახდა ორისი 7-ის ხაზინის შაბლონთან დაკავშირება.

იურიდიული სამსახური

იურიდიული სამსახური შეიქმნა 2021 წლის აგვისტოს თვეში. იურიდიული სამსახურის ამოცანები და ფუნქციები შემდეგია:

- სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი მხარდაჭერა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- სააგენტოს კანონიერი უფლებებისა და ინტერესების წარმომადგენლობა და დაცვა ყველა ინსტანციის სასამართლოში;
- სააგენტოს კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა მესამე პირებთან (მათ შორის, მოქალაქეებთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან) ურთიერთობებში;
- საჯარო ინფორმაციის გაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- კომპეტენციის ფარგლებში, სამართლებრივი და საკანონმდებლო აქტების პროექტების მომზადება;
- სააგენტოს მიერ სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში როგორც მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტებთან, ასევე ბენეფიციარებთან დასადები ხელშეკრულებების/შეთანხმებების მომზადება ან/და მათი სამართლებრივი ექსპერტიზა;

- საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს მიერ დასადები საერთაშორისო და სხვა სახის ხელშეკრულებების, მემორანდუმების პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება ან/და სამართლებრივი ექსპერტიზა;
- სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული და დისციპლინური წარმოების სამართლებრივი უზრუნველყოფა.
- კომპეტენციის ფარგლებში და დადგენილი წესით, დაინტერესებულ პირთა საჩივრების, წერილებისა და განცხადებების განხილვა და/ან განხილვაში მონაწილეობა და მათზე გადაწყვეტილებების (პასუხების) მომზადება.

სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის მიმართულებით წლის მანძილზე მომზადდა პროგრამების მარეგულირებელი დოკუმენტაცია ან შესაბამისი ცვლილების პროექტები. კერძოდ, მომზადდა ნორმატიული აქტების პროექტები და ხელშეკრულება/შეთანხმებები:

- სუბსიდირებული იპოთეკური სესხი,
- მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა (სააგენტოს საკონსულტაციო ცენტრი),
- ბიზნეს უნივერსალი,
- მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა,
- ტექნიკური დახმარება (ექსპორტის სტიმულირება),
- FDI - გრანტი (უცხოური საინვესტიციო პროექტების ხელშეწყობის მექანიზმი),
- საკრედიტო-საგარანტიო სქემა,
- 50 - მდე ახალი ხელშეკრულება,
- 200 - მდე შეთანხმება.

იურიდიული სამსახური ხელს უწყობს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. 2022 წლის მანძილზე სააგენტოს მიერ ჯამურად გაცემულ იქნა 243 საჯარო ინფორმაცია.

სამართლებრივი დავების მიმართულებით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ფარგლებში, მომზადდა და სასამართლოში შეტანილ იქნა 21.

მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში სამსახურის ჩართულობით შემუშავებულ იქნა Environmental and Social Management Framework და სხვა შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტები, ასევე შევიდა ცვლილებები საქართველოს N365 და N163 დადგენილებებში და ფინანსურ ინსტიტუტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

საქმისწარმოების მიმართულება

საქმისწარმოების მიმართულების საქმიანობა მოიცავს ორ ძირითად აქტივობას:

- საქმისწარმოების ორგანიზება,
- საარქივო დოკუმენტაციის მართვა.

საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემის მეშვეობით 2022 წელს სააგენტოდან გავიდა 997 წერილი.
საქმისწარმოების მიმართულებით, დაინერგა ფოსტის პროგრამის ახალი სისტემა, რომლის საშუალებით გამარტივდა გზავნილების გაგზავნისა და ჩაბარების პროცესი. ასევე, 2022 წლის მეორე კვარტალში ეროვნული არქივის სამუშაო ჯგუფის მიერ დაარქივდა სსიპ „აწარმოე საქართველოში“ -ის 2015-2021 წლების დოკუმენტაცია.

პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები

2022 წელს, პროგრამული უზრუნველყოფის ჯგუფის მხარდაჭერით, დაინერგა სააგენტოს პროგრამების ვებ-გვერდები: cgs.gov.ge (საკრედიტო საგარანტიო სქემისათვის) და universal.gov.ge (უნივერსალური ინდუსტრიული პროგრამისა და იპოთეკური კრედიტის მხარდაჭერის მექანიზმისთვის) და მიმდინარეობს პროგრამების მართვა აღნიშნული ვებ-გვერდების საშუალებით.

გენდერული თანასწორობის საკითხების მუდმივმოქმედი კომისია

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ შექმნილია გენდერული თანასწორობის საკითხების შესაბამისი ინსტიტუციური სისტემა. 2020 წელს დამტკიცდა გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ხოლო 2021 წელს შეიქმნა და დამტკიცდა მაკოორდინირებელი კომისია.

რეგიონალური თვითმმართველობებისა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მხარდაჭერით (UN Women, TASO Foundation, FAO, Women for Business, Women for Future), ქალი მეწარმეებისთვის/პოტენციური მეწარმეებისთვის გაიმართა საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები როგორც ონლაინ, ისე პირისპირ:

- 8 შეხვედრა მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის შესახებ;
- 4 შეხვედრა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამების შესახებ;
- 2 შეხვედრა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების შესახებ.

2022 წელს სააგენტოს ბენეფიციარი წარმატებული მეწარმე ქალების პოპულარიზაციის მიზნით, გაიმართა ლაივ შეხვედრა 2020 წლის გამარჯვებულ მეწარმესთან.
სააგენტოს ვებ-გვერდზე შეიქმნა „გენდერული პოლიტიკის ბლოკი“ სამი ქვედანაყოფით: მარეგულირებელი აქტები, ანგარიშები და წარმატების ისტორიები.

ქალთა გაძლიერების პრინციპების შესახებ ინფორმაცია დაეგზავნა ინდუსტრიული და უნივერსალური ინდუსტრიული პროგრამების 1427 ბენეფიციარს.

საერთაშორისო ურთიერთობების და დონორთა კოორდინაციის სამსახური

საერთაშორისო ურთიერთობების და დონორთა კოორდინაციის სამსახურის ამოცანები და ფუნქციები შემდეგია:

- ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა, შესაბამისი ღონისძიებების ორგანიზებით საზოგადოებაში სააგენტოს საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე;
- სააგენტოს საქმიანობაში დონორების ჩართვის ახალი ტენდენციებისა და გამოცდილების შესწავლა, კონკრეტული მექანიზმებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
- სააგენტოს მიერ განხორციელებული პროგრამებისა და ინიციატივების ფარგლებში, დონორებთან და სააგენტოს პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერება და დივერსიფიცირება;
- საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების განხორციელებული პროგრამებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდაცია;
- საერთაშორისო ღონისძიებების (ფორუმი, მისიები და ა.შ.) ორგანიზება, განხორციელება და კოორდინაცია.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და დონორთა კოორდინაციის სამსახური პროაქტიულად თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან, რაც, თავის მხრივ, მეწარმეობის ხელშეწყობის, ექსპორტის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის კუთხით სათანადო რესურსების მოძიებასა და არსებული პროგრამების განვითარებას ემსახურება.

2019-2022 წლის მონაცემებით, 19 პარტნიორ ორგანიზაციასთან სააგენტოს თანამშრომლობის შედეგად განხორციელდა 89 სხვადასხვა პროექტი. აღნიშნული პროექტების ჯამური ბიუჯეტი 13 მილიონ ლარამდეა.

უშუალოდ 2022 წლის განმავლობაში პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელდა 29 პროექტი.

ცხრილი 22. დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელებული პროექტები (2022)

დონორი ორგანიზაცია	პროექტი
USAID (ESP)	MRO სექტორის ცენტრის შექმნის თაობაზე მიზანშეწონილობის კვლევის განხორციელების ხელშეწყობა
	კინოინდუსტრიის განვითარებისა და ქვეყნის პოტენციალის წარმოჩენის მიზნით, ამერიკის შეერთებულ შტატებში თემატური ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა
	ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, ე.წ ლოკაციის სკაუტების საქართველოში ვიზიტის ხელშეწყობა
	საკონსულტაციო რეგიონული ცენტრების ე.წ. Growth Hub-ის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება აჭარის რეგიონისთვის
USAID (AGRI)	ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ხელშეწყობისა და ქართული ექსპორტზე ორიენტირებული 50- მდე კომპანიის სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობის მხარდაჭერა და თანადაფინანსება, მათ შორის ისეთ გამოფენებში როგორიცაა: „Gulfood 2022“ , “Food and Drink Expo 2022”, “Sial Paris”
	აგრო მიმართულებით ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების დახმარების მიზნით, საპილოტე პროგრამის „Business Lead Generation” ფარგლებში, საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის დაქირავების კუთხით მხარდაჭერა; სამიზნე კომპანიების პროდუქციის ექსპორტზე გატანისა და B2B შეხვედრების დაგეგმვის ხელშეწყობა
GIZ	სააგენტოს თანამშრომლების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა და თანამშრომელთა პერფორმანსის მართვის სისტემის კონცეფციის შემუშავების კუთხით მხარდაჭერა
	პროგრამის „Fit for Partnership” ფარგლებში, მცირე და საშუალო საწარმოების საშუალო ან მაღალი დონის 24 მენეჯერის გადამზადების უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში, 2022 წლის მონაცემებით, ჯამში გადამზადებულია 156 მენეჯერი
	საერთაშორისო გამოფენებში „Pitty Imagine Bimbo” და „Play Time Paris” 14 ქართული კომპანიის მონაწილეობის ხელშეწყობა და თანადაფინანსება
	რეგიონული საკონსულტაციო ცენტრების, ე.წ Growth Hub-ის, კონცეფციის შემუშავებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობის მიზნით, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოში სააგენტოს წარმომადგენლებისთვის სასწავლო ვიზიტის განხორციელების მხარდაჭერა
	მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) სექტორში არსებული გამოწვევების ანალიზისა და მხარდამჭერი მექანიზმების შემუშავების მიზნით, საჭიროებებისა და საუკეთესო პრაქტიკის კვლევის განხორციელების უზრუნველყოფა

EBRD	პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, ასევე, არსებული ინვესტორებისთვის ე.წ. Aftercare სერვისების დახვეწის მიზნით, კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავების მხარდაჭერა
	საზღვარგარეთ საქართველოს მისიების, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სააგენტოს 80 – მდე წარმომადგენლებისთვის ეკონომიკური დიპლომატიის კუთხით სერტიფიცირებული სასწავლო კურსის განხორციელების უზრუნველყოფა
	საქართველოს საინვესტიციო გარემოს პოპულარიზაციისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, ციფრული კამპანიის დაფინანსება
	ფარმაცევტული სექტორის საინვესტიციო პოტენციალისა და მიზანშეწონილობის კვლევის დაფინანსება
EPRC	GeClose2EU პროექტის ფარგლებში, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების შესწავლის მიზნით, სააგენტოს წარმომადგენლებისათვის ქ. სტოკჰოლმში, შვედეთში სასწავლო ვიზიტის დაფინანსება
Swisscontact	სააგენტოს მიკრო და მცირე მეწარმეობის საგრანტო პროგრამის ბენეფიციარებისთვის, მათი განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, ე.წ. Graduation Program-ის განხორციელება
	სააგენტოს პროგრამების შესახებ ცნობადობის გაზრდის მიზნით, ქვეყანაში არსებული უმცირესობათა ჯგუფებისთვის სოციალური კამპანიის განხორციელება
	რეგიონალური საკონსულტაციო ცენტრების (ე.წ. Growth Hub) კონცეფციის ფარგლებში, კერძო სექტორის ხელშეწყობისა და სამომავლოდ მათთვის მხარდამჭერი მექანიზმების შეთავაზების მიზნით, საჭიროების გამოსავლენი დიაგნოსტიკური კითხვარის შემუშავების უზრუნველყოფა
	მოწყვლადი ჯგუფებისა და ეროვნული უმცირესობებისათვის არსებული პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, რეკომენდაციების შემუშავება
UNDP	საკონსულტაციო რეგიონული ცენტრების ე.წ. Growth Hub-ის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონისთვის
	შესაფუთი მასალების სექტორის ხელშეწყობის მიზნით, საერთაშორისო გამოფენაში "Fachpack 2022" 6 ქართული კომპანიის მონაწილეობის თანადაფინანსება.
UNIDO	კოსმეტიკის კლასტერის პოტენციალისა და მიზანშეწონილობის კვლევის განხორციელებაში მხარდაჭერა
UN Global Compact	ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების შესაძლებლობების განვითარების მიზნით, სააგენტოს ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსის მხარდაჭერა და თანადაფინანსება
UN Women	სააგენტოს გენდერული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში, გენდერული მეინსტირიმინგის ხელშეწყობის მიზნით, გენდერული მიმართულებით კონსულტანტის დაქირავების უზრუნველყოფა

„საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დახმარებისა და აღდგენის პროექტის“ საორგანიზაციო ჯგუფი

მსოფლიო ბანკის „საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების დახმარებისა და აღდგენის“ პროექტის (P173975) მართვა შეითავსა სააგენტოში შექმნილმა შესაბამისმა საორგანიზაციო ჯგუფმა. საერთო სესხში სააგენტოს წილი შეადგენს 72.8 მილიონ დოლარს, რასაც ემატება პროექტის მართვისა და მონიტორინგის ხარჯების ბიუჯეტი (4.8 მლნ ევრო), ხოლო დანარჩენ წილზე, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ეროვნული ბანკის ქვეკომპონენტებს აფინანსებს, სააგენტო შესყიდვებისა და ფინანსების საკითხებს მართავს. სესხი 2023 წლის 30 ივნისამდეა აქტიური.

აღნიშნული პროექტი შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან და მოიცავს:

1. MSME-ების ფინანსური დახმარებასა და აღდგენას
2. ციფრული გადახდებისა და ფინანსური ინფრასტრუქტურის განახლებას
3. პროექტის მართვასა და მონიტორინგს

აღნიშნული კომპონენტები, პროგრამების მიხედვით, შემდეგნაირად ნაწილდება:

ა) მიკრო გრანტების დაფინანსება (საორიენტაციო ბიუჯეტი 25.2 მლნ ევრო),

ბ) სესხის პროცენტის თანადაფინანსება (12.8 მლნ ევრო),

გ) საკრედიტო საგარანტიო სქემის დაფინანსება (25 მლნ ევრო),

დ) რეგიონული საკონსულტაციო ცენტრების (ე.წ. „Growth Hub”) გახსნა-აღჭურვა და მცირე კომპანიებისთვის სხვადასხვა მიმართულებით საკონსულტაციო მომსახურების, ტრენინგებისა და სემინარების შეთავაზება (5 მლნ ევრო).

მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში, 2022 წელს, სააგენტომ მონაწილეობის ხელშეკრულება გააფორმა ბაზარზე მოქმედ 11 კომერციულ ბანკთან, ვისთან ერთადაც ეტაპობრივად დაიწყო ე.წ. „გამწვანების“ პროცესი. პროცესი გულისხმობს ფინანსური ინსტიტუტების გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის მსოფლიო ბანკის შესაბამის რეგულაციებთან ჰარმონიზაციას და მსოფლიო ბანკის მოთხოვნებით შემუშავებული „გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის“ მიღებას. ზემოთ აღნიშნული წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას, რათა მონაწილე ფინანსურმა ინსტიტუტებმა სააგენტოს პროგრამების ქვეშ, მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში, გასცენ სესხები. 2022 წლის ბოლოსთვის საქართველოს ბანკმა და თიბისი ბანკმა უკვე დაიწყეს სესხის განაცხადების მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში დამუშავება.



აწარმოე საქართველოში

დ.უზნაძის ქუჩა N18. თბილისი, საქართველო
ელ-ფოსტა: info@enterprise.gov.ge
ცხელი ხაზი: 1525
ტელ: + 995 32 296 00 10
enterprise.gov.ge